

სატენდერო ფაილი / ტენდერის პირობები
(ერთჯერადი კონტრაქტი)
საკონსულტაციო მომსახურება პროექტის საბოლოო შეფასებისთვის

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) 2022 წლის 28 იანვრიდან ახორციელებს პროექტს „გენდერზე ორიენტირებული პედაგოგიკა თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის“, პროექტი მიმდინარეობს პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.

ტენდერის წესები

აღნიშნული სატენდერო პროცედურა ძალაშია 20 კალენდარული დღის განმავლობაში, წარდგენის დასრულების დღიდან. ტენდერის მონაწილეთა შერჩევა მოხდება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. ყველა მონაწილეს წერილობით ეცნობება პროცედურის შედეგები.

ტენდერის განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სათაურის ველში შემდეგი მითითებით: CCIIR-ის ტენდერი ვებგვერდის შექმნისათვის. სატენდერო განაცხადები, რომლებიც გამოგზავნილი იქნება სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არ განიხილება. ამ პროცედურის შესახებ ზოგადი და საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ამ განაცხადში.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული CCIIR საკონტაქტო ინფორმაცია ნებისმიერი შეკითხვისთვის. ყველა შეკითხვა წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ექსკლუზიურად ქვემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შემდეგი მითითებით სათაურის ველში: კითხვები ტენდერზე CCIIR-ის პროექტის შეფასებისთვის.

კონტრაქტის ტიპი	ერთჯერადი კონტრაქტი
ხანგრძლივობა	მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე
სატენდერო განაცხადის/წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	5 იანვარი, 2023
ელ.ფოსტა სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის	Info.cciir@gmail.com
ელ.ფოსტა შეკითხვების დასმისათვის	Info.cciir@gmail.com

შეფასება

სატენდერო პრეტენდენტები გამოირიცხება სატენდერო პროცედურაში მონაწილეობისგან, თუ ისინი:

- ✓ თუ ისინი ნასამართლევია არიან ქვემოთ მოცემულ ერთ ან მეტ ბრალდებაზე: კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, კორუფცია, თაღლითობა, ფულის გათეთრება.
- ✓ რომელთა მიმართაც გამოვლინდა დანაშაული, რაც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ ინტეგრირებასა ან სერიოზულ პროფესიულ გადაცდომებზე;
- ✓ არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სოციალური უზრუნველყოფის შენატანების, გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით ქვეყნის ნორმატიული დებულებების შესაბამისად;
- ✓ არიან ან სავარაუდოდ არიან ინტერესთა კონფლიქტში.

დამწვების კრიტერიუმები

- ✓ საუნივერსიტეტო ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტების მენეჯმენტში ან მასთან დაკავშირებულ სფეროში;
- ✓ უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც აქვთ გამოცდილება საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში შეფასებების შემუშავებაში, მართვასა და ხელმძღვანელობაში ან/და მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბებაში.

წარმოსადგენი დოკუმენტები

ტენდერში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ CV-რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაახელებულ სფეროში გამოცდილების ქონისა და შესაბამისი განათლების შესახებ.

დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.